საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ი. ყ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №109/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ /სიითი № 2678/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 09 აგვისტოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ყ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ. სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ი. ბ.-ს და მისი ურთიერთობა დაიწყო 2017 წლის აგვისტოში, ადვოკატს მისთვის სამართლებრივი დახმარება უნდა გაეწია სისხლის სამართლის საქმეში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ბ.-მ მისგან მიიღო ექსპერტიზის ჩასატარებლად განკუთვნილი თანხა, 12000 (თორმეტი ათასი) ლარი. მის საქმეზე ექსპერტიზა არ ჩაუტარებია და ამ თანხას არ უბრუნებს.

2. საჩივრის ავტორის მოწმე ო. ყ.

2.1 2018 წლის 24 დეკემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორის მოწმე ო. ყ., რომელიც არის საჩივრის ავტორის მამა და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი შვილის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე ადვოკატი ი. ბ. დაუკავშირდა და უთხრა, რომ გამოძიების ეტაპზე ბევრი შეცდომები იყო დაშვებული, არასწორი იყო ექსპერტიზის დასკვნები, მათ შორის ანაბეჭდებთან დაკავშირებით, მათ გამოსასწორებლად 3 ექსპერტიზის ჩატარება იყო საჭირო, ექსპერტიზისათვის საჭირო დოკუმენტები კი თავად ჰქონდა შეგროვებული, რომელსაც ო. ყ. არ გაცნობია. ო. ყ.-ს განმარტებით, მას დაუკავშირდა მსჯავრდებული ი.ყ. და უთხრა, რომ ადვოკატისათვის ექსპერტიზების ჩასატარებლად უნდა გადაეცა 12 000 ლარი, ო. ყ.-მ აუხსნა, რომ ეს თანხა ერთიანად არ ჰქონდა, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი შეძლებდა ექსპერტიზის თანხების შეგროვებას მოგვიანებით აუნაზღაურებდა, მოგვიანებით მას ადვოკატმა აუხსნა, რომ ექსპერტიზის თანხის სრულად შეგროვებისათვის იყენებდა მისი ძმის ოპერაციის თანხას, რაც მოწმე ო. ყ.-მ ორ ეტაპად აუნაზღაურა, ჯერ 8 000 შემდეგ კი 4 000 ლარი გადასცა.

2.2 ო. ყ.-ს განმარტებით, ადვოკატს ექსპერტისათვის საერთოდ არ მიუმართავს და ამ მიზნით მიღებულ თანხას მის ოჯახს არ უბრუნებს.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ლ. ბ.-მ 2018 წლის 24 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2017 წლის აგვისტოში ის ი. ყ. - ს შეხვდა და დაიწყო მისი ინტერესების დაცვა. ადვოკატის განმარტებით, მან ი.ყ.ს საქმეზე განახორციელა საადვოკატო მოქმედებები.

3.2 ადვოკატის განმარტებით, ის შეხვდა ი.ყ.-ს მამას ო. ყ.-ს და მიაწოდა ინფორმაცია ჩასატარებელი 6 ექსპერტიზის შესახებ, რომელთა საფასური წარმოადგენდა 12000 ლარს, მოცემულ თანხას ადვოკატი იღებდა ნაწილ-ნაწილ 6 თვის განმავლობაში, მიღებული თანხის დაბრუნების შესახებ უკვე გაესაუბრა ო. ყ.-ს და თანხას დაუბრუნებს.

3.3 ადვოკატი ი. ბ., არ გამოცხადებულა განხილვის კოლეგიის 2020 წლის 06 თებერვლის სხდომაზე.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2019 წლის 11 თებერვალს, მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ბ. ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მ, კლიენტს არ დაუბრუნა ექსპერტიზის ჩასატარებლად აღებული თანხა და საქმეზე ექსპერტიზა არ ჩატარებულა, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა აპეკ-ის 8.13 და 8.15 მუხლები.

4.3 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის უმოქმედობასთან და ინფორმაციის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ადვოკატის ქმედებაში არ დასტურდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის და აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის; ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანინის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილისა და აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის დარღვევა.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

5.1.1 ადვოკატი ი. ბ. ი.ყ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა 2017 წლიდან სისხლის სამართლის საქმეზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ი.ყ.ს საჩივარი

ადვოკატ ი. ბ. ს ახსნა-განმარტება

5.1.2 ი.ყ.ს მამამ - ო. ყ.-მ ადვოკატ ი. ბ.-ს მისი შვილის სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტიზების ჩასატარებლად გადასცა თანხა 12 000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ი.ყ.ს საჩივარი

საჩივრის ავტორის მოწმის - ო. ყ.-ს ახსნა-განმარტება

ადვოკატ ი. ბ.-ს ახსნა-განმარტება

5.1.3 ი.ყ.ს საქმეზე ი. ბ.-ს საადვოკატო საქმიანობის პერიოდში ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ი.ყ.ს საჩივარი

ადვოკატ ი. ბ.-ს ახსნა-განმარტება

5.1.4 ადვოკატ ლ. ბ.-ს კლიენტისათვის არ დაუბრუნებია მიღებული ექსპერტიზის თანხა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ი.ყ.ს საჩივარი

საჩივრის ავტორის მოწმის - ო. ყ.-ს ახსნა-განმარტება

ადვოკატ ი. ბ.-ს ახსნა-განმარტება

6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ დარღვეულია კლიენტის ფულადი თანხების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება:

7.1.1 აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი: „ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება“.

7.1.2 აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

7.2 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მინდობილი თანხები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მისი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი) ადვოკატის მიერ აღნიშნული ეთიკური ვალდებულებების შესრულება ამყარებს კლიენტში ნდობას არა მხოლოდ ამ კონკრეტული ადვოკატის, არამედ ადვოკატთა კორპუსის მიმართ და შესაბამისად ზრდის საზოგადოებაში ნდობას ადვოკატის პროფესიის მიმართ.

7.3 ,,ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“ (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე N003/12, 02.07.2012).

7.4 ,,კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერად მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა უფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდუციარული ვალდებულებების დარღვევას.”(იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე N004/14, 18.06.2012).

7.5 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ მიღებული თანხა - 12000 ლარი წარმოადგენს კლიენტის მიერ მისთვის მინდობილ თანხას, რომლის გადაცემაც მოხდა კონკრეტული მიზნობრიობით, კერძოდ, ექსპერტიზის ჩასატარებლად. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს გულისხმიერების ვალდებულებაზე, რომლის შესრულებაც ადვოკატს ევალება მინდობილი ქონების მართვისას, განსაკუთრებით ისეთ გარემოებაში, როცა კლიენტის მოლოდინი საქმეზე საბოლოო შედეგთან დაკავშირებით ემყარება იმ საპროცესო მოქმედებას, რომლის განსახორციელებლადაც ადვოკატს თანხა წინასწარ

მიანდო, აღნიშნული კი გულისხმიერების ვალდებულებას კიდევ უფრო განსაკუთრებულ ხასიათს სძენს.

7.6 კოლეგია მიუთითებს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებაზე, კლიენტს დაუბრუნოს მისთვის მინდობილი თანხა, რომელიც განსაზღვრული მიზნობრიობით აქვს მინდობილი, თუ მიზნობრივად ხარჯვის საჭიროება აღარ არსებობს, მიუხედავად იმისა, თუ რა გარემოებებითაა აღნიშნული განპირობებული. მოცემულ შემთხვევაში მხარეების მიერ სადავოდ არ არის გამხდარი თანხის გადაცემის ფაქტი, მართალია, ადვოკატი განმარტავს, რომ ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა კლიენტის ი.ყ.ს მიერ მინდობილობის გაცემაზე უარის თქმის გამო, თუმცა ადვოკატს მინდობილი თანხის კლიეტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება წარმოეშვა დაუყოვნებლივ, მას შემდეგ რაც ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ ეთიკური ვალდებულება დარღვეულად ითვლება იმ დროიდან, როდესაც საქმეზე ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა და ადვოკატმა ამ მიზნით მიღებული, მინდობილი თანხა დაუყოვნებლივ არ დაუბრუნა კლიენტს.

7.7 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მ დაარღვია მინდობილი თანხების დამოუკიდებელ ანგარიშზე განთავსებისა და კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, რის გამოც დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

7.8 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

7.9 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ "სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

7.10 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის

სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.11 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.12 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.13 ეთიკის კომისია ითვალისწინებს ფაქტს, რომ კლიენტს ადვოკატ ი. ბ.-ს ქმედება არის განგრძობადი ხასიათის, მიუხედავად ადვოკატის პოზიციისა, რომ კლიენტს დაუბრუნებდა მინდობილ თანხას, თანხის დაბრუნება არ მომხდარა, რაც ი. ყ.-ს, რომელიც არის მსჯავრდებული, აყენებს ზიანს. ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიასა და კლიენტს მიადგა ზიანი და კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ ი. ბ. სათვის მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

7.14 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს ჩადენილი

დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1-ე, 34.1(ა)–ე, 35-ე, 35[1]-ე, 36-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.13 და მე-8.15 მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4.5, მე-4.6, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, მე-40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N109/18 ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ /სიითი№2678/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/